


ნახ. ჰ. ნაცვლიშვილისა

# ძმობის, ერთობის ზეიმი

პირველი მაისი — ეს არის მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაული. ამ დღეს მაღლა ფრიალებს რევოლუციური ბრძოლისა და შემოქმედების წითელი დროშები. ჩვენი პლანეტის ერთ მესამედზე პირველმაისობა არის განთავისუფლებული შრომის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში ახალი მიღწევებისათვის ბრძოლის დღესასწაული.

ახლანდელი პირველმაისობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მას საბჭოთა ხალხი აღნიშნავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 24-ე ყრილობის წელს. ეს ყრილობა ახალ ფურცელს შლის კომუნიზმის მშენებლობაში. საბჭოთა ადამიანები შთაგონებულად შრომობენ მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესასრულებლად. სახელოვანი ტრადიციის მიხედვით პირველ მაისს ჩვენი სამშობლო აჯამებს წინასადღესასწაულო დამკვრელური შეჯიბრების შედეგებს. საბჭოთა ხალხის ყოველი ახალი გამარჯვება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში — მნიშვნელოვანი წვლილია მსოფლიო რევოლუციურ პროცესში და საუკეთესო არგუმენტია სოციალიზმის სასარგებლოდ.

მშვიდობისა და შრომის დღესასწაულად იქცა პირველმაისობა მოძმე სოციალისტური ქვეყნებისთვისაც, რომლებიც მას აღნიშნავენ სოციალისტურ მშენებლობაში მოპოვებული ახალი მიღწევებით.

კაპიტალისტური ქვეყნების მილიონობით მშრომელი პირველ მაისს ხვდება საგაფიცვო პიკეტებში, პოლიციასთან შეტაკებებში, მღელვარე სადემონსტრაციო კოლონებში. იმპერიალიზმთან კლასობრივი ბრძოლის ფრონტი წლითიწლობით იზრდება და ფართოვდება, ეს ბრძოლა სულ უფრო ხდება მუშათა კლასის პოლიტიკურ ბრძოლად, სოციალურ უფლებათა, დემოკრატიული თავისუფლების, სოციალისტური იდეალებისათვის ბრძოლად. მტკიცდება მუშათა კლასის მძლავრი იარაღი — საერთაშორისო სოლიდარობა. იმპერიალიზმთან და მის აგრესიულ პოლიტიკასთან ბრძოლაში მეტად და მეტად მტკიცდება მსოფლიოს პროგრესული ძალების სოლიდარობა. ჩვენს დღეებში იგი განსაკუთრებით ნათლად ვლინდება გმირული ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხების მხარდაჭერაში, საბერძნეთის სამხედრო ხუნტის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტებში.

კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ ბრძოლის დროშათა ქვეშ, სოციალიზმისა და კომუნიზმის ნათელი იდეალების გამარჯვებისათვის დააბიჯებს დედამიწაზე მშრომელთა საერთაშორისო ერთობის დღესასწაული — პირველმაისობა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# თბილისის უნივერსიტეტი

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

ТБИЛИСИС УНИВЕРСИТЕТИ — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ ордена Трудового Красного Знамени Тбилисского государственного университета

№ 16 (876)
პარასკევი,
30 აპრილი, 1971 წ.
გამოცემის 39-ე წელი
ფასი 2 კაპ.

## გაუმარჯოს 1 მაისს — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

## ჩვენი წვლილი მშვიდობის ფონდში

**ახლახან ჩვენს უნივერსიტეტში მშვიდობის საბჭოთა ფონდიდან მოვიდა შემდეგი შინაარსის წერილი:**

მშვიდობის საბჭოთა ფონდის გამგეობა გულითად მადლობას გითვლით იმისათვის, რომ პატრიოტულად გამოეხმაურეთ ჩვენს მოწოდებას და ინტერნაციონალური სოლიდარობა გამოიჩინეთ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მოძმე ხალხებისადმი მატერიალური დახმარების კეთილშობილურ საქმეში.

თქვენს მიერ ნებაყოფლობით შემოტანილი თანხა გამოყენებულ იქნება ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ვუსურვებთ თქვენს კოლექტივს დიდ წარმატებას შრომაში, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

## წინასაარჩევნო კრებაზე

საბჭოთა საქართველოსა და მისი კომუნისტური პარტიის 50-ე წლისთავის აღსანიშნავ წინასაზეიმო დღეებში დაიწყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების კამპანია.

სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანები იკრიბებიან წინასაარჩევნო კრებებზე და ასახელებენ თავიანთ კანდიდატებს რესპუბლიკის პარლამენტში.

დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას მიეძღვნა სწორედ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და თანამშრომელთა კრება, რომელიც გუშინ გაიმართა სხდომათა დარბაზში.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის პრორექტორმა პროფ. ს. ჯორბენაძემ.

სიტყვა ეძლევა აკადემიკოს ა. ცაგარელს. იგი დამსწრეთ მოუწოდებს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ორჯონიკიძის რაიონის № 44 საარჩევნო ოლქში დაასახელონ აკადემიკოსი გ. ძოწენიძე.

ტრიბუნასთან ერთმანეთს ცვლიან პროფ. შ. ძიძიგური, სტუდენტი თ. ბარსელიანი, პროფ. ნ. სხირტლაძე. ისინი ერთსულოვნად უჭერენ მხარს აკად. გ. ძოწენიძის კანდიდატურის დასახელებას.

კრებამ ერთხმად დაადგინა — აკად. გ. ძოწენიძე დაასახელონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 44 საარჩევნო ოლქში და სთხოვონ მას კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში.

